

# COVID 19-ით გამოწვეული შეზღუდვების გავლენა დაკრძალვის რიტუალზე

ქეთევან ლაფაჩი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოქტორი სოფიკო ზვიადაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

*როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ქეთევან ლაფაჩი

25.05.2021.

## მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, სოფო ზვიადაძეს გაწეული დახმარებისა და რჩევებისთვის, რომელიც ამ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მომცა. გარდა ამისა, მადლობას ვუხდით ჩემს კურსელებს რომლებიც რესპოდენტების მოძიებაში დამეხმარნენ და მათ ვინც ამ თემასთან დაკავშირებით ინტერვიუს მოცემაზე დამთანხმდა.

## აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს 2020 წლის 20 მარტის შემდგომ საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა კუთხით დაწესებული შეზღუდვების გავლენა დაკრძალვის რიტუალზე. რაც განხორციელდა ხუთ ქეის სთადიზე დაკვირვებითა და მათი კონცეპტუალიზაციით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დაკრძალვის რიტუალის იმ ნაწილებმა განიცადეს ყველაზე მეტად ცვლილება რომლებიც ჭირისუფალთან ან გარდაცვლილთან ფიზიკურ კონტაქტს გულისხმობდნენ და ხალხის დიდ მასას უყრიდნენ თავს ერთ სივრცეში, ყველაზე ნაკლებად კი ცვლილება რიტუალის იმ ნაწილებს შეეხოთ, რომლებიც თავისი არსით წმინდად რელიგიურია და ეკლესიასთანაა კავშირში.

პანდემიის პერიოდში რიტუალის ცვლილება თავის მხრივ დასაყრდენი გახდა იმის გასაანალიზებლად თუ რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს დაკრძალვის რიტუალს, რამდენად ხდება სიკვდილის რიტუალიზაცია და რა მიმართება არსებობს ორ ლიმინალურ მდგომარეობას-სიკვდილსა და პანდემიას შორის.

რაც შეეხება პირველს, შეიძლება ითქვას, რომ დაკრძალვის რიტუალის ცვლილებისას ყველაზე მეტად მისი სოციალური ფუნქცია და ამ ფუნქციის რღვევის ტენდენცია გამოიკვეთა. სიკვდილის როგორც ლიმინალური მდგომარეობის გადასალახად, როგორც წესი, მისი რიტუალიზაცია ხდება, რაც პანდემიისასაც უცვლელი დარჩა, მაგრამ გვხვდება გამონაკლისი შემთხვევებიც, რადგან იგი წინაღმდეგობაში მოდის მეორე ლიმინალურ მდგომარეობასთან-პანდემიასთან, რომელიც დაკრძალვის რიტუალის რიტუალიზაციის ხარისხს ამცირებს, რადგან იგი სხვაგვარად მოქცევას და დაწესებული შეზღუდვების დაცვას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: დაკრძალვის რიტუალი, კოვიდ 19, ლიმინალობა, რიტუალის ცვლილება

## **Abstract**

The aim of the study is to investigate an influence of measures implemented by the Georgian government against COVID-19 on the funerary rite. This is done by observing five case studies and analyzing them.

The results show that different parts of funerary rite, which involve physical contact with the deceased or mourners and large gatherings that bring together a lot of people have changed more than others, which are religious with their nature and are connected with Georgian orthodox church.

Changing of the funerary rite during COVID-19 pandemic has become the basis for further analyzing its function, degree of ritualization of the death and connection between two liminal conditions death and pandemic.

Regarding the first, it can be said that during the pandemic social function of funerary rite and tendency of its decay has been revealed. Death as a liminality requests a process of ritualization, which continued during the pandemic too, but with some exceptions, since pandemic as the second liminality requested from people following the restrictions and avoiding ritualization of it.

Key words: Funerary rite, COVID-19, Liminality, Ritual modification.